



ჩვენი ჟურნალის მკითხველი უკვე ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ 1997-2001 წლებში კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, მონრეალის (კანადა) უნივერსიტეტის პროფესორის, ბ-ნი **ქვეინ თუითის** (ფოტოზე: დგას მარჯვნიდან მესამე) ხელმძღვანელობით ერთოგრაფიული და ლინგვისტური მასალის მოსაპოვებლად სამუშაოებს ატარებდა საქართველოს მთიანეთში – ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში, რაჭაში. შეგროვდა დიდძალი აუდიო და ფოტო მასალა, რომლის გამოქვეყნებასაც ვიწყებთ ჩვენი ინსტიტუტის მოამბის – „აპირანის“ ფურცლებზე. იმედი გვაქვს, რომ ამ მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსვლა მცირედ დახმარებას მანც გაუწევს ჩვენს კოლეგებს და კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებით დაინტერესებულ პირებს. მოძიებული მასალის დამუშავება შესაძლებელი გახდა ჩვენი თანამემამულის, ინდიანის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორის ქ-ნ **დოდონა კიზირიას** (ფოტოზე: დგას მარცხნიდან მეოთხე) ფინანსური ხელშეწყობით და თსპუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტების დახმარებით.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ საუბრის ჩანაწერს გოგოლაურთის (ფშავი) თემის ხევისბერთან ფილიპე ბალიაურთან. მასალა ჩაწერილია 2000 წლის 25 ივნისს (აუდიოკასეტა გაშიფრულია თსპუ ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტების – *მედეა შამუგეასა* და *ინგა გიაშვილის* მიერ) – **პ.ბ.**



The reader of our journal already knows that from 1997-2000 the International Caucasological Research Institute for social research, under the leadership of Professor *Kevin Tuite* of the University of Montreal (Canada) (in the photo, standing third from the left) conducted work for the collection of ethnographic and linguistic materials in the mountain regions of Georgia, specifically in Pshav-Khevsureti, Svaneti, Ratcha. The institute collected numerous audio and photo materials, which are being prepared for publication in the pages of our institute's journal, *Amirani*. We hope that providing for the scientific circulation of these materials will in some way be of use to our colleagues and those interested in the daily life of Caucasian mountain dwellers. The preparation of the materials for publication became possible with the generous financial help of our compatriot Professor *Dodona Kiziria* (Of the University of Indiana (in the photo, standing fourth from the left) as well as the help of T.S.P.U. students from the faculty of History.

Currently we present the reader conversations recorded with *Philippe Baghiauri*, the *khevisberi* of the *Gogolaurti temi* in Pshavi. The materials were recorded on the 25 of June 2000 (the transcription of the audiocassete was done by T.S.P.U. History faculty students (third course), *Medea Shamugia and Inga Giashvili*). — P.B.



24 - 25 ივნისი. 2000 წელი. მათურხევი და ლაშარის გორი

ხევისბერი ფილიპე ბალიაური (შემდეგ ფ.ბ.): - მე, ცოტა ასე კი არ ვიყავ, თავმოყვარე კაცი ვიყავ და რა მამაფიქრებდა თუ ხევისბერი ვიქნებოდი. არც ვაქცევდი ყურადღებას. აი მამაჩემი იყო, ესენი იყო რალაცა და მივდიოდი ისე საქეიფოდ ხატში და რა მამაფიქრებდა. მეჩავრებოდა ხევისბრობა, დაილოცოს. რალაცნაირი საქმეა, დაკავებული ხარ და მერე თხუთმეტი წლის ადრე ე. ი. დაუმატე ათი წელიცა, ოცდახუთი წლის ადრე, ერთმა კაცმა დამიძახა, მამაჩემთან ერთად იყო ხევისბრად, მისი მოადგილე იყო და - ასეთი და ასეთი სიზმარი ვნახე და შვილო, შენა ნუ დაილუპავ თავსაო. მე გავიცინე. მერე რალაც ჩვენთან ქადაგებია, იმათ შამოგვთვალეს. რას ამბობ, კაცო, მე ამ საქმეს როგორ გავაკეთებდი. მერე, მე ვშინდებოდი, წამოგფრინდებოდი, ლოგინიდან ვვარდებოდი. დედაჩემს ჰკითხე, რამდენჯერ დავუჭერივარ. მეღანდებოდა რალაცეები. მე ვთქვი, ჰკუა არ შემეშალოს. ახლა, ოთხმოცდაცხრაში შვილი დამეღუპა, ერთი წელი არ იყო გასული, წლისთავი არ გადამეხადა, მეუღლე მიჰყვა, ჰოდა შევწუხდი. ხალხმა იცოდა ეს ამბავი და მეუბნებოდნენ: შენ დალუპე ეს ბავშვი, ოჯახი ამასწყვიტე. წავედი, ჩვენებურად ვთქვათ მარჩიელი როა, მკითხავი.

ქვეინ თუითი (შემდეგ ქ.თ.) -ქალი იყო თუ კაცი მკითხავი?

ფ.ბ.: ქალი იყო, თიანეთში ცხოვრობდა. მითხრა - „რატომ არ აღიხარ, თავი დაუდე, თორე უარესი მოგვივა“. პირდაპირ დამიძახა ასე, არც სანთელი აანთო, არც არაფერი – „მე ვიცი რაზეც მოხველ შენაო“. არც მიცნობდა. აი, ასეთნაირად თავი დავუდე ამ საქმესა, ხელ-მხარი ვინათლე და ეხლა მეცხრე მოზვერი მაკლია რა, კურეტი. აი, ესე გაჭირვებითა, აბა ოჯახი... მე მბრალდება ისიცა, რო ეს ვითომ შენ ამოსწყვიტე ოჯახიო. მოკლედ, მაგრად ვსწავლობდი, აი, რალაცნაირად ვსწავლობდი რა. ეხლა კი აღარა. ეხლა თუ რაიმე შევრიე, ან ვერ დავიცავ წესი, რიგი, ისე როგორც კანონია, ან მოხსენების დროს ან რალაცა, ჯერ მოხსენებაში ვირევი, მერე კიდე სიზმარს ვნახავ, ან მამაჩემი, ან აი მანდ რალაც კაცია, თეთრი კაცი და გამომეცხადება ხოლმე.

პაატა ბუხრაშვილი (შემდეგ პ.ბ.): მოხსენებაში არევა როგორ?

ფ.ბ.: აი ეხლა, შენ თვითონვე უნდა მოგდიოდეს ეს სიტყვა. არავითარი რალაც დაზეპირებები, თორემ წიგნებში იმდენი სწერია, რამდენიც გინდა. შენ რანაირი მოხსენებით რანაირად უნდა მოუდგე იმას. აი, ეხლა უნდა ვთქვათ მთაზე საკლავი რანაირია: იქ არი გასამყვანო, სამეშვლო, ათასი რამე არის. სუყველას თავისი მოხსენება უნდა და მთავარი მოხსენება, სანთელზე რო კეთდება საკლავზე, იმას უნდა თავისებური... არ უნდა აირიო, რეალურად უნდა მიდიოდე რა, როგორც დაზეპირებული ლექსი, მხოლოდ სხვადასხვა ანგარიშით.

პ.ბ.: ე.ი. მოხსენება თავისით მოდის?

ფ.ბ.: თავისით მიდის. აი, მაგალითად, არის ასეთი რამ, რაც ნამდვილია; არავითარ შემთხვევაში შენ შთამომავლობით ხვეისბერი არ გადმოგცემს რაიმეს, რომ იქ არის რალაცა, თასი ინახება. რალაცა ხო არი ხატისა ისეთნაირი, თვითონ უნდა ნახო და მიგაბიძგოს. სინამდვილეში ეხლა მოწამე კი ვიყავ ღვთისა, მამაჩემი ხვეისბერი იყო მაგრამ ასეთნაირად თუ ჩამიმკვიდრებოდა არ ვიცოდი. ეხლა კი ბევრი რამე ისეთი ხდება... ყველაფრის ჩენი ლაპარაკიც არ შეიძლება რა.

პ.ბ.: გრძნობებზე არის ყველაფერი დამოკიდებული არა? ე.ი. თქვენში იღვიძებს რალაც „სულიერი თვალის“ მსგავსი ხატის ნებით.

რომან დოლიძე (შემდეგ რ.დ.): უკან ხადღუში რომ ვერ ილაპარაკა ახალგაყვანილმა ხევისბერმა¹. ხომ გახსოვთ, იმას არ მოუვიდა ეს „მოხსენება“ და ვერ ილაპარაკა.

პ.ბ.: პეტრე² ეუბნებოდა: - დიწყე, დიწყეო, მაგრამ მას სიტყვა არ მოუდიოდა.

ფ.ბ.: თუ გინდა ახალი ხევისბერი იყო, ის (ხატი –პ.ბ.)თვითონ გასწავლის ლოცვას, მთავარმოხსენებას, სანთელზე რაც უნდა მიახსენო. რაღაცას სიზმარში ნახავ, რაღაცას გონით მიხვდები. ესეცაა საქმე, როცა ხატის შიშით ფრთხილობ – შვილებს, შვილისშვილებს უფრთხილდები ძალიან, რაღაც არ შეგცდეს. შეიძლება იმიტომ რომ გეშინია იმისა და მეხსიერებითაც, გონითაც რაღაცას ნახავ.

პ.ბ.: ესაა ღვთის შიში.

ფ.ბ.: დაილოცოს. არაფერი მინახია, ბევრი კი რაღაცა გამომცხადებია... მაგრამ მე მომვალ თაობას რაც ვიცი იმას გადავცემ. რაც არის, არის, სინამდვილეში არსებობს. არა სთქვათ, არ არსებობსო. ნურაფერს აიღებ, წაიღებ, მაგას ებრძვიან ძალიან. თუ არ გინდა ნუ მიიტან და ნუ ილოცებ. ჩემი გამოცდილება ეგ არი, რაც ვიცი.

ქ.თ.: თუ ადამიანი ილუპება მეხის გამო, ან თუ ვარდება მდინარეში, ან ზღვაში და ილუპება, თუ ტარდება გარკვეული რიტუალი: ან საკლავის დაკვლა, ან თხის დაკვლა. მაგალითად, მეხმა თუ მოკლა კაცი, რა ხდება იმ შემთხვევაში?

ფ.ბ.: საერთოდ, ადამიანს როგორც ანგელოზი დასდევს, ისე დასდევს რაღაცა ღმრთისაგან განდევილი, ეშმაკი, ავ ანგელოზს ვეძახით ჩვენა. საერთოდ, უკეთესია, რო დასდევს ეს, მააცილო თხისგან მის სულს, ე. ი. თხას თავს მოაჭრი და ხელუკუღმა გადააგდებ ამ თავსა. იმ ციკანს არც სახელი ედება, არც მისი ხორცი ირევა არაფერში.

ქ.თ.: ხორცი არ იჭმება?

ფ.ბ.: ჭამით ჭამ, მაგრამ ამას ეძახიან ორმოცის ანგარიშზე. ორმოცამდე უნდა მოაშორო სამოთხეში ორმოცზე მიდის მისი

¹ უკან ხადღუში ჩვენ შევესწარით ხევისბრის დადგინებას, რომელიც გადავიღეთ კიდევ ვიდუო ფირზე (ფირი ინახება ინსტიტუტის არქივში).

² პეტრე გოგოჭუი – ატაბეს (ხევსურეთი) ხევისბერი.

სული. მანამდე ტრიალებს გარშემო და ამისათვის სწორედ ის ავი ანგელოზი უნდა ჩამოაცილო მას. ამისთვის ციკანი აუცილებელია. ადამიანი როცა კვდება, მას ყარაული ჰყავს. ღმერთმა დაიფაროს, მაგალითად, რო იღუპება იმას ხო ყარაულობ, გვერდზე ხარ და როდესაც არავინ არის: ან მეხი დაეცემა, ან წყალში გადავარდება, კლდეზე გადავარდება, ანუ დაიღუპება ე.ი. უკაცოდ, „უკაცოდ მამკვდარს“ ეძახიან ჩვენში ფშავური წესითა. ამ დროს აუცილებელია ციკანის ზუსტად იმ ადგილას, სადაც ეს მოხდა, დაკვლა. შეასრულებ ამ საქმეს. მოაშორებ იმ „ავ ანგელოზს“ – გადაისვრიან ციკანის თავსა და შეასრულებენ ამ საქმესა, მოაშორებენ ამ უბედურებასა. აი, იქაც რო გადმოვარდა კაცი მაიკითა, იქ, ხატთან იყო ჭვარი, გამოღმა უნდა იყოს იქ, ხატთან, არ შეიძლება. მაქაც ციკანი დაიკლა. აი, ასეთი წესითა ვართ ჩვენ, მთის ხალხი და ფშაველები.

ქ.თ.: ციკანს როცა დაკლავენ, ტოვებენ იმ ადგილას თუ...

ფ.ბ.: არა, იქ თავს გადააგდებენ.

რ.დ.: თავს აუცილებლად მდინარეში გადააგდებენ?

ფ.ბ.: არა; სამჯერ შამაიტარებ და გაისვრი. ეტყვი, რო შენა ეცლებიო ამ საქმესაო და „ავო ანგელოზო“ თავის ადგილას იყავიო. ჩვენ ასე ვიცით; მე ვასრულებ ამ საქმეს.

ქ.თ.: მეხით დაღუპულზეც იგივე რიტუალს ასრულებთ?

ფ.ბ.: ერთი რიტუალი კეთდება, როცა ადამიანი იღუპება ადამიანის გარეშე, ე.ი. ყარაული გარეშე. ხსნის ეს საქმე ყველაფერს.

ქ.თ.: ელიაობა ან წმ. ელიას სალოცავი თუ იციან ფშავში? ხევსურეთში გავიგე, რომ არის. დასავლეთ საქართველოშიც საკმაოდ ბევრია.

ფ.ბ.: აქ ელიაობა ვიცით, მაღლა გვაქვს სალოცავი სპეციალურად. ახლა ფშავში ბევრი არ არის. ელიაობაზე ციკანს ვკლავთ. კი შეგიძლია ახლა ბატკნი დადჰკლა, ყველა საკლავი დადჰკლა, სამხვეწრო, მაგრამ ძირითადი შესაწირი, რომელიც იწირება მისთვის ციკანსა ვჰკლამდით. იმისათვის, რო ჩვენი გადმოცემით ღმერთმა გამოგზავნა ელია და უთხრა: უპატრონე ხალხსა. მაგას დიდი ისტორია აქვს. მეხი ხომ მაგან გააჩინა, ცეცხლი რამე ყველაფერი და ზუსტად მაგისთვისა ვჰკლამთ – არიდე მეხიო, ასე რაღაცა და...

ქ.თ.: მაგალითად სეტყვა, ეს ელიას გამოგზავნილია?

ფ.ბ.: ელია – მეხი, მეხით არის; ღრუბლები შემოაჯახა ერთიმეორეს, უცბათ გააჩინა მეხი და მერე ადამიანებმა ვეღარ გაიგეს ამ ცეცხლის და ჰკვდებოდნენ. გადმოცემით ვიცი ესა და ფაქტია თუ არა, ეს არ ვიცი. ისე, ჩვენ ასე ვიხსენებთ მეხის ამბავში, სეტყვაცა რა. ანგელოზია რა, ღმერთისაგან გამოგზავნილი ანგელოზი. მოხსენებაში რომ ვიხსენიებთ: დიდებულო ძალაო, კვირაო ცხოველო, იმას ვახსენებთ, ხატსა, მერე კვირაო პატიოსანოო. ე. ი. კვირა იყო პირველი მაშვალი რო ხალხს დაესვენებინა. სულ მუშაობდა ხალხი. მერე თავის შვილი – ზევსი გამოაგზავნა ღმერთმა, რა უჭირს ხალხსო, მერე ეს ანგელოზი, კვირა – ანგელოზი გამოგზავნა, უშველე რამე ხალხსაო. შაბათს შუადღისას ჩამოვიდა, ეს ჩვენი გადმოცემით, როგორც იხსენიებენ, დადგა კარავი; კვირაო – კარავიანოო ამიტომ ვამბობთ. დადგა კარავი შუადღისას, დაუძახა ხალხს რო ღმერთმა გამამაგზავნა, აბა მოდითო და შუადღისას აპყარა კვირას და უთხრა, რომ აქედან აქამდე იქნებით თავისუფლები და გექნებათ უქმი. მისცა ხალხს ერთი დღე კვირაში.

პ.ბ.: ძმადნაფიცობა როგორ ტარდება, რა რიტუალია? რა გაგიგიათ ამასთან დაკავშირებით?

ფ.ბ.: მარტო კი არ გამოიგია, მეცა მყავ ძმადნაფიცი. ჩვენთან, ფშავში ასე ხდებოდა: რომელთაც ერთი-მეორე უყვართ, პატივსა სცემენ, ან შეხვდებიან ერთიმეორეს და მოეწონებათ ერთმანეთი ვაჟკაცობაში, ამ დროს იღება ვერცხლის ფული, ვერცხლისა უნდა იყოს, იცოდე, რაიმე ვერცხლის ნაწილი, ჩაითლება ჭიქაში, ერთ ჭიქაში ჩაფრინა შიგა, მერე ჭერ ერთი ადგება, ილოცება, ძმად ხო უნდა გაიფიცოს; დედაშენი დედაჩემი არის, მამაშენი – მამაჩემი. სხვანაირად გამოდის ეგ ერთი სიტყვა, მაგრამ ბუნებრივად დედამამიშვილები ასეა. ჩემი ძმა შენი ძმა არის... და მაფყვება ეს ყველაფერი. ახლა მეორეს გადაეცემა ჭიქა, დაილოცება ისა. გაიჭრება ორივესი ნეკა თითი. ნეკა უმალღესი თითია, ამას არაფერი არ ჰპატრონობს სიკეთის მეტი. გაიჭრება ნეკა, ჭიქაში ჩაეშვება სისხლის წვეთი, სამი წვეთი, პატარა წვეთები, ამას მოჰყვება ლოცვა. აიღებენ და დალევენ ნახევარს ერთი, ნახევარს – მეორე; გადაეხვევიან, აკოცებენ ერთიმეორეს და ძმებია ფაქტიური. ამის შემდეგ ნათესაობენ დედამამიშვილებისავით რა. აი მე ვნათესაობ რა...

პ.ბ.: სასმელი რომელია?

ფ.ბ.: არაყი ან ღვინო. სუფთა უნდა იყოს. ფშავში მაგალითად, არაყია მიღებული.

პ.ბ.: თუ ხატობაში იქნება ლუღშიაც ხომ შეიძლება?

ფ.ბ.: ლუღშიაც, ღვინოშიაც, არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ გაიფიცო ნამდვილ ძმადა და იყო ნამდვილი, ასრულებდე იმ წესსა როგორც შენი საკუთარი ძმა. ამას ხშირად აკეთებენ ისინი, რომელთაც დედმამიშვილი არ ჰყავთ; ამხანაგს, მეგობარს იშოვნიან, იპოვნიან, არის დაახლოებული მასთან და იგივე ძმა არის.

პ.ბ.: ქალსა და კაცს შორის თუ ხდება ამგვარი რამ?

ფ.ბ.: კი, კი, არის ოღონდ უფრო იშვიათად. ჩეულებრივად ხდება ეს ამბავი ისე, როგორც უკვე ვთქვით კაცებში...

ქ.თ.: სხვა ეროვნების ხალხთან, მაგ.: ქართველსა და ჩეჩენს შორის?

ფ.ბ.: ნაციონალი არ არი, არ არსებობს თუ გინდა ინგლისელი იყოს, ამერიკელი იყოს და ა. შ. ვინც გინდა იყოს, ეს არის ნამდვილი. მხოლოდ უნდა დაიცვა ეს. თუ არ ესმის და არ იცის იმან, თქვენ ყველაფერი გესმით, შეგიძლიათ გაიფიცოთ და დაიცვათ ის წესი რა წესიც არსებობს და-ძმის შორის, ძმებთა შორის.

ქ.თ.: ახლა მე მიანტერესებს როგორ ხდებოდა თემში მიღება სხვა მხარიდან ან სხვა თემიდან მოსული ოჯახისა, რომელიც გადმოსახლდებოდა თქვენს მხარეში და ითხოვდა თავშესაფარს...

ფ.ბ.: ეგ ცოტა რთული იყო. ადრე მიწები ნაკლები იყო, თუ გინდა ფშავი აიღე... აქ პატარ-პატარა მიწას ამუშავებდნენ, აქ ბევრია მოსული ჩვენთან. აი, ეს წოწკოლაურები რომ არიან, ბაღიაურები მოსული არის. კიდევცა სწერია, წიგნშიაც არის მოცემული. აი, ეს როგორა ხდებოდა: მაგალითად, როცა ერთი თემში ან გააფუჭებდა რამეს, ან არ ევარგულებოდა, იმას იქიდან განდევნიდნენ. ესე ხდებოდა ფშავშიც. განდევნილი მიდიოდა სხვა თემში. აი, ჩვენთან როგორ იყო: როდესაც აქ მოვიდოდა, ვთქვათ, ჩვენ გოგოლაურები ვართ არა, გოგოლაურებს გყვანდა ჩვენ სამი ადამიანი ეგეთი... ე. ი. აქ უკვე მარტო თემზე არა წყდებოდა. თემი მიიღებდა, მაგრამ წაიყვანდნენ ხატში, ხატში რო მიიყვანდნენ, იქ დააფიცებდნენ, სამანს ვეძახით... ან ქვას დებდნენ, ან რაღაცა შესაწირი იქნებოდა ისეთი, დეეწერებოდა მისი გვარ-სახელი და იქა ასეთი წესი იყო: დაასხმდნენ სამ ჭიქას, სანთელი ეენტებოდა, საკლავს მაყვანდა

ის კაცი. ხვეისბერი დადგამდა სამ ჭიქასა და დაილოცებოდა: ამ კაცს ვლებულობთ ჩვენი გვარი, ჩვენი თემი. თუ ამ კაცმა გვიღალატა – დაღვრიდნენ ჭიქასა – აი, ასე მოუვიდესო. თუ გვიძმობს, დაგვინდობს, მაშინ გავხადოთ ჩვენი მონაწილე ხატისა და ხატის ყმა. მერე თემი იმას, როგორც განაყარს ჩვეულებრივად, გვარის განაყარს, მისცემდა პატარა მიწებსა. ის ჩამაიჭრიდა, ის ჩამაიჭრიდა პატარა-პატარასა და ამ კაცს დაასახლებდნენ. აი, ასეთი წესი იყო.

ქ.თ.: ერთი გვარის, ერთი თემის ქალ-ვაჟის დაქორწინება აკრძალულია?

ფ.ბ.: არ შეიძლება, ეგეთი რამე არ იქნება. ადრე ლაშარის ჯვარში, ხატში შეიყრებოდნენ და მაგათ მოდჰკვეთდნენ. არ მოუშვებდნენ არც სახლში, არც არსად. ან სხვა საშუალება იყო, როგორც სასამართლო.

ქ.თ.: თემის ან გვარის გაყრა არ იცოდნენ?

ფ.ბ.: გვარი იყრებოდა. მაგალითად, გოგოლაურთაში რო არი, ბევრი განაყარი გვარები ვართ ჩვენ, მაგრამ სხვადასხვა გვარზე ვართ. აი, მაგალითად, ქუბრაშვილები სამი ძმანი ყოფილან, ორი ძმა მოუკლია შავ ჭირს, რაღაც ხატში დაუშავებიათ თუ რაღაც არის. უთქვია მარჩიელს მკითხავს თუ ხვეისბერს, კარგად არ ვიცი, – რო „წადი“. ჩასახლებულა იქ. ქუბრიაშვილები მთელი სოფელია, სადაც მე ვარ ეხლა – ბულაჩაურში. იქ ქუბრია რქმევია კაცსა და თავის სახელზე დაურქმევია. ეს გვარი გადაურქმია და უკვე ახალი გვარი შეიძინა. აგე, ილო, მაგალითად, ჯაბანიშვილია, ფხოველად იწერება, შეცვალეს გვარი. განაყრობა იყო, ადღებოდი... გაიყრებოდი... მოგცემდნენ შენ წილს სუყველაფერს, დაგასახლებდნენ სხვაგან.

ქ.თ.: ქორწინება ამ სხვადასხვა გვარს შორის შეიძლება?

ფ.ბ.: რა თქმა უნდა. აი, მაგალითად, მე ხატის ყმა ვარ ამ გოგოლაურეთის, ის ხოშარისა არი. ჩემ შვილებს თუ ნათესაობა არ მიდის დეიდაშვილობა-მამიდაშვილობაში, შეუძლიან, დიდი სიამოვნებით, წაიყვანონ და იქორწინონ.

ქ.თ.: ვინ ცხოვრობს გოგოლაურების თემში ეხლა? არის ეს ერთი სოფელი იქ, ხატთან, სადაც თქვენ ცხოვრობთ?

ფ.ბ.: გოგოლაურები სინამდვილეში ... გზის თავზე რო არიან, დავითი გელაშვილი, ეგ არის ნამდვილი გოგოლაური. გაღმა რო ლომიაშვილები ცხოვრობენ, ისენი მოსულეებია, თვითონ

მამიაურებია ეგენი და უკანა ფშავის ყმად ეკუთვნიან. ფაქტიურად კი იქედან არიან, უკანა ფშავიდან.

რ.დ.: მუქოს გაღმა რო ცხოვრობენ, ისინიც გოგოლაურებს ეკუთვნიან?

ფ.ბ.: ერთიც არი გოგოლაური, პავლე გელაშვილი. ეგ ბერიძეც გოგოლაურები არიან. აი ის ტერიტორია მუქოსია, ხევსგაღმა, წყლამდე.

რ.დ.: მუქოს ტერიტორია სანამდე გრძელდება იქით, გოგოლაურისაკენ?

ფ.ბ.: იქვე ახლოსაა, სოფელი როა, იმის თავზე გადადის სწორად.

რ.დ.: სანამ თქვენ სახლთან მიხვიდოდეთ იქამდეა ალბათ ხომ?

ფ.ბ.: ჩემი სახლი რო არი, პირდაპირ ახლოს ჩამოუდის ისა, მერე ჩემ სახლთან რო პატარა გორია, იქიდან გადადსჭრი, პატარა ადგილია ძალიან.

ქ.თ.: რამდენი არიან მუქოს თემში ეხლა?

ფ.ბ.: წოწკოლაურები ერთი ოჯახიდა ცხოვრობს აქ. ... ისე შვილი გეყარა, იქარ არის ვახტანგი. ორი ოჯახია. სხვა მოსახლებულებია.

* * *

პ.ბ.: სანთელი უნდა იყოს...

ფ.ბ.: ნამდვილი, ფუტკრისა.

პ.ბ.: ეკლესიის სანთელი არა? შენით უნდა ჩამოქნა?

ფ.ბ.: ფუტკრისა უნდა იყოს. სხვას არ აიღებს რა, სიმართლეს გაუმარჯოს, ჩვენი ხატი. იქ, სამღვდელოებაში, რაც გინდა დაანთე. მაგათ სანთლებს ათსანაირი მინარევები აქვს, ბინძური მინარევებიც აქვს, რაც ხატისთვის საკადრისი არ არის. მე არ ვანთებ, მაგალითად, შენ კი შეგიძლია აანთო ეხლა, შეეხვეწო, მაგრამ არასწორია ასეთი სანთლები. ერთი ფიჭა რო იყოდო, გეყოფა. რაც შენ ხატში დადიხარ პირდაპირ იმ ფიჭისგან გააკეთებ.

პ.ბ.: ჩემი ხელით უნდა იყოს გაკეთებული?

ფ.ბ.: შენი ხელით უკეთესია. იქაურ სანთელს ქრისტიანული წესით ღებულობთ თუ არ ღებულობთ ეგ, მღვდელების იმითა იყოს. მაგრამ ჩვენთან, მე ნამდვილს გეუბნები, მე ვიცი კიდევცა, სიზმარი ვნახე რო გადმპყრიდნენ რა ხატები, არ ღებულობდნენ.

...კეთილი ყოფილიყოს, წყალობა მოგცეთ აი, ეს მათურხვეის დიდმა წმ. გიორგის ანგელოზმა, დამსტურმა გამჩენელმა გაამრავლოს

თქვენი ახალგაზრდობა, მუდამ წინმსწრაფი ყოფილიყოს და შვილებთა და ბედნიერებით შამამხვდარიყავით აქა. ჩემი ლოცვა ყოფილიყოს და ამისი წყალობა იყოს, ანგელოზებისა. იხარეთ, იმრავლეთ, კარგად იყავით და მგზავრობაცა მუდამ კაი ყოფილიყოს და კეთილი. სხვათა შორის დავუმატებ გაუმარჯოს იმ სალოცავებს, რაც ჩვენს საქართველოში საერთოდ ბრძანდება: ფშავისას, ხევსურეთისას, მთა-თუშეთისას. სადიდებულო იმათი იყო და სამწყალობნო იყოს. ჩვენი საქართველოს ერისთვის. ჩვენ საქართველოში მშვიდობა, ბედნიერება ყოფილიყოს, ახალგაზრდებს ეშველოს. თუ რამე ძალა არის ღმერთისაგან, ანგელოზისაგან გამოგზავნილი ხორციელთა საშველად, უშველონ და უმეშველონ. ერთიანი საქართველო გვენახოს, მშვიდობა გვენახოს, გვეოლიყოს ისეთი ხელმძღვანელი, რო მშვიდობისაკენ წეყვანოს საქმე.

აი, ეს იყო მეორე სადღეგრძელო ... ჩვენი პატარა კუთხისა, ჩვენი პატარა საქართველოსი თქვენი ვაჟკაცობის და თქვენი თამადობით. აი, ასეთი ხალხი აღზრდილიყოს ნიჭიერი, უმაღლესი, კარგი. ჰოდა მშვიდობას შეეწყოს ხელი. ჩვენც შეგვეწყვას ხელი ერთი-მეორეს სიყვარულში, ერთი-მეორეს გაგებაში. დაგვეზარდოს ისეთი მომავალი თაობა, რო ჰყვარებიყოს ერთი-მეორე და მტრული შეხედულება არ ქნოდეს. იყოს მშვიდობა, ღმერთი იყოს მაღლიდან დამყურე, ეს ანგელოზები, მოწამენი და გაგიმარჯოს, კარგათ იყავი.

... ჯერ შენ უნდა იყო ხევისბერი სამაგალითოდ და მერე უნდა უბიძგო მომავალ თაობას; რომ შენ, აი შვილო, პაპა, მომყევით ასე, ასეთია პატიოსნება, აეს დარიგება, აი ეს წესი, თუ ჩვენ ვიქნებით უწმინდურები, რა უნდა დავარიგოთ სხვას. აი, ეს მოვალეობაცა გვაქვ ჩვენ.

რ.დ.: ღმერთი სამობით არის და ახლა აეს კაცი ვადღეგრძელოთ შორიდან ჩამოსული.

ფ.ბ.: კაცი ჩიკაგოდან არი მოსული, ამერიკიდან არი ჩამოსული ბატონო რომან, ბატონო უფროსებო. როგორ არ უნდა მიიცილო ერთი და ორი საათი მის გულისათვის. ძალიან უმაღლესი შეხედულება დამრჩა მე, პირადად ჩემი გაგებით და ბიჭებიც შარშან დიდი კმაყოფილი დარჩენ თქვენით. განათლება აქვს კაცსა, მაგრამ განათლებას თავისი მოხმარება უნდა, შეგნება უნდა ჩემი გაგებით...

გაგიმარჯოს, კარგად იყავი, იმრავლე. აი, ასეთი საქმე ბევრი გაგეკეთებინოს საქართველოსათვის და შენი სამშობლოსათვის. ყველგან, სადაც წახვალ, შენი ვაჟკაცობა მუდამ თან გქონდეს. იყოს საქართველო შენი საყვარელი, როგორც სამშოლო. აემ მთებში, სადაც მოხვალ, ყოველთვის პატივს გცემთ. მარტო ჩაწერაზე კი არაა საქმე; საერთოდ საკუთარი შვილივით და ოჯახივით მიგიღებთ. მე ასე გადღეგრძელებ და ღმერთმა დაგლოცოს. აემ სალოცავებმა წყალობა მოგცა ჩვენებურად, ფშაური წესითა, სადაც რა ნიჭი გაქვს, გაგიათმაგოს და ყველგან ხელი გემართებოდეს. შენი საღღეგრძელო იყოს. აი მესამე ჭიქას შენსას ვსვამ.

* * *

ფ.ბ.: ყველა მომსვლელი თემი დასხდებოდა თავის საჯარესა. აქ გაუთხრიათ საჯარე გოგოლაურებსა. მერე გოგოლაურებს უთქვამთ, რომ პირველი, ხატობაც ისეა, დროშაც პირველი მაგათი მოდიოდა ამ ლაშარის ჯვარში და მეტი წილიც გოგოლაურები იყვნენ. გაგა თურმანაულიც ჩვენი იყო და ხატთან ყველაზე ახლო დაიდეს ბინა; მერე შეყოლებაზე არი ადგილი ყველა თემისა, ყველამ იცის მისი ადგილი. ასეთი ადგილები აქვთ გათხრილი, მოვაკებული. თავ-თავისი. მოვა ყველა ლაშარობას და დაჯარდება იქ, დადგება. აქ შუამდე სალუდე ყოფილა. გოგოლაურები ჭკვიანები ყოფილან იმიტომა, რომ თავისი საჯარე ადგილი სალუდესთან ახლოს გაუმართავთ.

ე. ი. მოსულნი: ეს თურმანაულნი მოსულან, ეს ისტორიას არ ახსოვს. გოგოლაურთა მოსვლა სულ არ ახსომთ. უნჯნი, ე. ი. მკვიდრნი, ჩვენში უნჯნი იციან. უნჯი ძველს ნიშნავს. უნჯი ყმანი უნდა განასხვაო. არის ყურუმ ყმანი. ყურუმ ყმანი არიან ისინი, რომლებიც შემოსულები, შემოფიცულებია. შემოფიცულთ ყურუმ ყმათ ეძახიან. ის მეორენი, ვინც ძირითადია, იმას უნჯი ყმანი ჰქვიათ. დიდი განსხვავებაა.

* * *

ხვეისბერი იყო ერთი, მაგრამ როგორც მოსამართლე ამ თხუთმეტი თემიდან ერთ-ერთი, ვინც იქნებოდა ხვეისბერი, შეეძლო გადევწყვიტა სასამართლო, რამე. უფროსად ითვლებოდა. რო არაფერში შემცდარიყო. აი მაგალითად, გაგა თურმანაული გოგოლაური იყო, ხვეისბერი იყო, უჭკვიანესი იყო და აქ ხაზინობდა; ახადელი კაცი ყოფილა კიდევ და ასე შემდეგ.

ძირითადი ხევისბერი, რომელიც საქმეს აკეთებდა, ასრულებდა ყავდა მას (ლაშარის ჯვარს –პ.ბ.). თვითონ ხატს ყავდა შერჩეული. იყო თემებიდან ყველაზე ჭკვიანი, ღირსეული, პატიოსანი. მაშინ აქ სასამართლო იმართებოდა, აქედანა ხალხს ჭკვეთავდნენ. მოკვეთას იმას ეძახიან, რო გარიყავ რა, ქალი იქნებოდა თუ კაცი. აქ იმართებოდა სასამართლო, აქ ისჯებოდა, რიგდებოდა რა საქმე. აქ კიდევ იყო დარბაზი, სადაც გადაწყვეტილებებს იღებდნენ, თემთა საბჭო, ბოლოს იმ დარბაზს აღვადგენთ.

ფ.ბ.: მოდი აქა, რაღაცა უნდა მოვჭყვე. ბუწაშვილს ხო იცნობ, ლელას. აუსახელებია ხუთი წლის მოზვერი. წამაიყვანა ამ ქალმა. გინდა თუ არა უნახია სიზმარი, მაუვიდა შვილები, რამე, შენ უნდა დაჰკლაო, მეუბნება მე. შენა გნახე სიზმარშიო, ერთხელ მოიდა, ორჯერ, სამჯერ. წამოვედით, იოსები და ისინი სომენ და არ მაჰყვებიან ამ ქალს. გელაშვილი დავითო წამოვიყვანე სხვები რაღაცა და მოვედით აქა. თქვეს რო დაბლა დავკლათ, ვერ ავიყვანთ ზემოთ მაგასო. მე ვუთხარი, კაცო როგორ ვერ ავიყვანთ, წესია ასეთი. მაშინ მაიტანე კელაპტარი და დაბლა ავანთოთო. ეს მოზვერი იწვეა, 9-10 კაცი ვართ, ბუბუნებს და მთელი ამბავია და უბედურობა. მივედი, ავანთე ეს კელაპტარი, მოვაველე ხელი, წინ წამოვედი და მოვიდა აქამდი. აქ რო მოვლით, ვერ წავაქცევთო. ავდექით და სქელი თოკი მოვაბით. როგორც გავუსვი ხანჯალი, გაიწყვიტა და წავიდა პირდაპირ, თოკი გაგლეჯილი იყო. ჩავბრუნდი ისევ და მუაბრუნე ის მოზვერი, მამყვა და აი, მაშინ თვითონ დაიჩოქა აქ, ეს არის ის, რაშიაც სისხლი ჩადის, აქ უნდა დაიკლას, სისხლის საქუჩარი, მაგაზე უნდა დაიკლას საკლავი. - ხალხი მოწამეა.

ფოტოების აღწერილობა

1. შეხვედრები სოფ.მალაროსკარში.
2. ბანაკი მათურხევის ჭალაში.
3. ნორჩი მკვლევარი.
4. დილა „მათურხევი ჰილტონში“.
5. შეხვედრა მუსიკოლოგებთან.
6. ინტრევიუ ხევისბერ ფილიპე ბალიაურთან.
7. მათურის, წყაროსთავის და გოგოლაურთის ხევისბერებთან ერთად კმოდისგორზე.
8. ლაშარისჯვარში.
9. ლაშარისჯვრის ჭალაში.

ფოტოები შესრულებულია რომან დოლიძის და პაატა ბუხრაშვილის მიერ

Description of photographs

1. Meeting at the village Magharoskari
2. Camping out in the Maturkhevi valley
3. Apprentice fieldworkers
4. Sunrise at the “Maturkhevi Hilton”
5. Encounter with musicologists
6. Interview with the chief priest Philipe Baghauri
7. With the priests of Matura, Ts’q’arostavi and Gogolaurta atop Kmodis Gori
8. At Lasharis Jvari
9. In the valley by Lasharis Jvari

შოთა იცნობოვ



